საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-6/358
13/06/2019

358-შ-19-1-4-201906131755

შპს „მაგთიკომის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „მაგთიკომმა“ (კომისიაში რეგისტრაციის №19-6/2208, 14.05.2019), რომელშიც აღნიშნულია, რომ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიით გათვალისწინებული CDMA ტექნოლოგია მორალურად მოძველებულია, წლიდან წლამდე იკლებს აბონენტების რაოდენობა და მათგან მიღებული შემოსავალი. კომპანიას სურს არსებული/რეალური მდგომარეობის გათვალისწინება და ვადის გაგრძელების საფასურისა და ლიცენზიის მოქმედების ვადის განსაზღვრა კონკრეტული ბიზნეს მოდელით. წერილში შპს „მაგთიკომი“ გამოხატავს მზადყოფნას რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზია გაგრძელებულ იქნას 2 წლის ვადით და ლიცენზიის ვადის გაგრძელების საფასურად გადახდილ იქნას წელიწადში არაუმეტეს 100 000 ლარი.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს “მაგთიკომი“ ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 453 მჰც ÷ 457,5 მჰც და 463 მჰც ÷ 467,5 მჰც სიხშირული დიაპაზონი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2019 წლის 17 ივნისამდე;

გ) უზრუნველყოს შპს ”მაგთიკომმა” 453 მჰც ÷ 457,5 მჰც და 463 მჰც ÷ 467,5 მჰც სიხშირული დიაპაზონის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული ”რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის” შესაბამისად და ავტორიზებული საქმიანობისთვის.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე მიმართოს კომისიას განცხადებით ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. თუ ლიცენზიის მფლობელის მიერ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელს, კომისიის გადაწყვეტილებით, ლიცენზიას მოქმედების ვადა უგრძელდება 10 წლით.

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

შპს „მაგთიკომის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიას მოქმედების ვადა გასდის 2019 წლის 17 ივნისს. შესაბამისად, შპს „მაგთიკომის“ მიერ დაცულია ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნები, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე განცხადების კომისიაში წარმოდგენასთან დაკავშირებით.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

ა) ლიცენზიის მფლობელი იხდის მისი გაგრძელების მომენტისათვის „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 2 წლის განმავლობაში გამართულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

ბ) თუ იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის (2 წელი) განმავლობაში არ გამართულა 2-ზე მეტი აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 3 წლის განმავლობაში გამართულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

გ) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 3 წლის განმავლობაში არ გამართულა 2-ზე მეტი აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულ ბოლო 3 (ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ბოლო 2) აუქციონზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

დ) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულია მხოლოდ 1 აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის ამ აუქციონზე დაფიქსირებულ საფასურს;

ე) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონი არ გამართულა, ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად იხდის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გასამართი აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით;

ვ) ლიცენზიის მფლობელი იხდის ასევე სალიცენზიო მოსაკრებელს.

კომისია აღნიშნავს, რომ ”სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სალიცენზიო მოსაკრებელი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიისათვის შეადგენს - 1,000.00 (ერთი ათას) ლარს. შპს „მაგთიკომის“ მიერ 2019 წლის 13 ივნისის მდგომარეობით საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი (1,000.00 ლარი).

კომისია აღნიშნავს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N19-10/1032 13.06.2019) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გაანგარიშების თაობაზე. სამსახურებრივი ბარათის თანახმად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ოდენობის დადგენისთვის, გამოყენებულ იქნა ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული წესი და რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ტექნიკური პარამეტრების თაობაზე.

კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული ”რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების” მე-7 მუხლის პირველი პუნქტის

თანახმად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარებისას რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\mathbf{P = P_f \times K_q \times K_p \times N \times K_N \times K_s \times K_g}$$

სადაც:

P – სიხშირული რესურსების აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობა ლარებში;

Pf - კონკრეტულ სიხშირულ დიაპაზონში დაკავებული ზოლის სიგანის შესაბამისი ღირებულება ლარებში (დადგენილების დანართი 1-ის მიხედვით);

Kq - სიხშირული დიაპაზონის ტევადუნარიანობის კოეფიციენტი (დადგენილების დანართი 2-ის მიხედვით);

Kp - გადამცემი (ბაზური) სადგურის გამოსასვლელი სიმძლავრის კოეფიციენტი (დადგენილების დანართი 3-ის მიხედვით);

N - გადამცემი სადგურების (ბაზური სადგურების) რაოდენობა;

KN - სადგურების რაოდენობის კოეფიციენტი (დადგენილების დანართი 4-ის მიხედვით);

Ks - საქმიანობის სახეობის კოეფიციენტი (დადგენილების დანართი 5-ის მიხედვით);

Kg - ადგილობრივი მომსახურების ზონის კოეფიციენტი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით (დადგენილების დანართი 6-ის მიხედვით).

კომისია აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული წესის თანახმად რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის №F10 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის შპს „მაგთიკომის“ მიერ გადასახდელი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური შეადგენს 16,296,117.27 (თექვსმეტი მილიონ ორასოთხმოცდათექვსმეტი ათას ასჩვიდმეტი ლარი და ოცდაშვიდი თეთრი) ლარს (დანართი№ 1-საფასურის გათვლა).

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომის“ მიერ CDMA ტექნოლოგიით 100 000-ზე მეტ აბონენტს მიეწოდება საკომუნიკაციო მომსახურება. მათ შორის, მომსახურება აქტიურად გამოიყენება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საზღვრისპირა სოფლებსა და მაღალმთიან რეგიონებში. როგორც შპს „მაგთიკომი“ აცხადებს ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ტექნოლოგია არის მომხმარებლებისთვის კავშირის ერთადერთი საშუალება. შესაბამისად, აღნიშნული ტექნოლოგიით მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, მომხმარებლები დარჩებიან საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების გარეშე, რაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ მომხმარებლებს, ვინაიდან, მათთვის, ამ დროისთვის, არ არსებობს ალტერნატიული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების საშუალება. კომისია აქვე აღნიშნავს, რომ 453 მჰც ÷ 457,5 მჰც და 463 მჰც ÷ 467,5 მჰც სიხშირულ დიაპაზონს გააჩნია შორ მანძილზე გავრცელების მახასიათებელი, შპს „მაგთიკომის“ სარგებლობაში არსებულ სხვა დიაპაზონებთან შედარებით, შესაბამისად, დღეის მდგომარეობით მხოლოდ აღნიშნული ტექნოლოგიით შესაძლებელია მომსახურების მიწოდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მაღალმთიან რეგიონებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მომხმარებლები არ დარჩნენ საკომუნიკაციო მომსახურების გარეშე და უზრუნველყოფილ იქნეს მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ CDMA ტექნოლოგია მორალურად

მოძველებულია, წლიდან წლამდე იკლებს აბონენტების რაოდენობა და მათგან მიღებული შემოსავალი, (რაც დასტურდება კომისიის ინფორმაციულ-ანალიტიკურ პორტალზე დაცული მონაცემებით), ამასთან, ითვალისწინებს შპს „მაგთიკომის“ წინადადებებს ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების პირობებთან დაკავშირებით და ასევე, წინამდებარე გადაწყვეტილებით შპს ,,მაგთიკომისთვის“ დაკისრებული ვალდებულებებით, მიზანშეწონილად მიაჩნია რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის №F10 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადანაწილება განხორციელდეს ლიცენზიის მოქმედების მთელ ვადაზე, 10 წელზე და კომპანიას განესაზღვროს ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის შემდეგი გრაფიკი: ლიცენზიის მოქმედების პირველ და მეორე წელს კომპანიამ გადაიხადოს წელიწადში 100 000 ლარი (პირველი გადახდა განხორციელდეს 2019 წლის 13 ივლისამდე, მეორე გადახდა 2020 წლის 13 ივლისამდე), ხოლო ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დარჩენილი ნაწილი ყოველწლიური თანაბარი გადახდის ვალდებულებით განწილვადდეს ლიცენზიის მოქმედების დარჩენილ ვადაზე.

შპს ,,მაგთიკომის“ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კომისია აღნიშნავს, რომ ამ დროისთვის შეუძლებელია არაჰარმონიზებული დიაპაზონისთვის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასურის განსაზღვრა ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით, ხოლო ლიცენზიის მოქმედების ვადის განსაზღვრა ოპერატორების ბიზნეს ინტერესებზე მორგებული მოქნილი პერიოდით, ვინაიდან, აღნიშნულს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. თუმცა, 2016-2017 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და კომისიის ერთობლივი პროექტის - „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარება“ ფარგლებში შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელიც გულისხმობს რადიოსიხშირული სპექტრის მართვისა და განაწილების ევროპული საუკეთესო პრაქტიკების დანერგვას და მისი მიღების შემთხვევაში, კომისიას მიეცემა შესაძლებლობა გამოიყენოს აღნიშნული მეთოდი ლიცენზიის საფასურის განსაზღვრისას.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ მომხმარებელთა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „მაგთიკომს“ აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში განესაზღვროს შემდეგი ვალდებულებები:

ა) ყოველკვარტალურად წარმოადგინოს ინფორმაცია წინამდებარე გადაწყვეტილების დანართი N2-ში მითითებული ცხრილის შესაბამისად;

ბ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომისიის და ყველა აბონენტის ინდივიდუალური შეტყობინება მომსახურების მოსალოდნელი შეწყვეტის თაობაზე მომსახურების შეწყვეტამდე 3 თვით ადრე. მომსახურების შეწყვეტამდე, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს აბონენტების მიგრაცია შპს „მაგთიკომის“ იმავე გეოგრაფიულ ზონაში არსებულ ალტერნატიულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე. მიგრაცია არ არის სავალდებულო იმ შემთხვევაში თუ:

ბ.ა) აბონენტი თავად აცხადებს უარს შეთავაზებულ ალტერნატიულ მომსახურებაზე;
ბ.ბ) მიუხედავად კომპანიის მიერ მიღებული გონივრული ზომებისა, ვერ მოხერხდა აბონენტებთან დაკავშირება;
ბ.გ) მიუხედავად კომპანიის მიერ მიღებული ზომებისა, ვერ ხერხდება აბონენტისათვის ალტერნატიული მომსახურების შეთავაზება;
ბ.დ) შპს „მაგთიკომის“ მომსახურებებისგან დამოუკიდებლად არსებობს საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული საკომუნიკაციო მომსახურება იმავე გეოგრაფიულ ზონაში;

გ) იმ შემთხვევაში თუ კომისიამ ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი 21 თვის განმავლობაში განახორციელა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის საფასურის გადაანგარიშება ე.წ.წ „დიდ ოთხეულში“ შემავალი აუდიტორული კომპანიის მიერ შემუშავებული ბიზნეს მოდელირებით და განახორციელა წინამდებარე გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა ლიცენზიის საფასურის გადაანგარიშების კუთხით და შპს „მაგთიკომს“ მოცემული პერიოდისთვის უფიქსირდება აქტიური აბონენტები, კომპანია ვალდებულია გააგრძელოს მომსახურების მიწოდება

ლიცენზიის ვადის ამოწურვამდე ან აქტიური აბონენტების სრულ მიგრაციამდე ზემოთ მოცემული ბ) პუნქტის პირობების დაცვით;

კომისია აღნიშნავს, რომ 2019 წლის 13 ივნისს გამართულ კომისიის სხდომას ესწრებოდა შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენელი ლევან გიორგაძე. კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, სალიცენზიო მოსაკრებელის (1,000.00 ლარი) 2019 წლის 17 ივნისამდე, ხოლო ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 16,296,117.27 (თექვსმეტი მილიონ ორასოთხმოცდათექვსმეტი ათას ასჩვიდმეტი ლარი და ოცდაშვიდი თეთრი) ლარის კომისიის მიერ განსაზღვრული გრაფიკით საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდაზე მზადყოფნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-5 პუნქტის ე) ქვეპუნქტის, ”სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის მე–14 პუნქტის დ) ქვეპუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N13 დადგენილებით დამტკიცებული ”რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების” და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის N6 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. გაუგრძელდეს მოქმედების ვადა შპს „მაგთიკომის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიას 2019 წლის 17 ივნისიდან 10 წლის ვადით შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 453 მჰც ÷ 457,5 მჰც და 463 მჰც ÷ 467,5 მჰც სიხშირული დიაპაზონი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე CDMA ტექნოლოგიით საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2029 წლის 17 ივნისამდე;

გ) უზრუნველყოს ლიცენზიის მფლობელმა 453 მჰც ÷ 457,5 მჰც და 463 მჰც ÷ 467,5 მჰც სიხშირული დიაპაზონის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული ”რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის” შესაბამისად და ავტორიზებული საქმიანობისთვის;

2. შპს „მაგთიკომი“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის ფარგლებში ვალდებულია:

ა) ყოველკვარტალურად წარმოადგინოს ინფორმაცია წინამდებარე გადაწყვეტილების დანართი N2-ში მითითებული ცხრილის შესაბამისად;

ბ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომისიის და ყველა აბონენტის ინდივიდუალური შეტყობინება მომსახურების მოსალოდნელი შეწყვეტის თაობაზე მომსახურების შეწყვეტამდე 3 თვით ადრე. მომსახურების შეწყვეტამდე, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს აბონენტების მიგრაცია შპს „მაგთიკომის“ იმავე გეოგრაფიულ ზონაში არსებულ ალტერნატიულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე. მიგრაცია არ არის სავალდებულო იმ შემთხვევაში თუ:

ბ.ა) აბონენტი თავად აცხადებს უარს შეთავაზებულ ალტერნატიულ მომსახურებაზე;
ბ.ბ) მიუხედავად კომპანიის მიერ მიღებული გონივრული ზომებისა, ვერ მოხერხდა აბონენტებთან დაკავშირება;
ბ.გ) მიუხედავად კომპანიის მიერ მიღებული ზომებისა, ვერ ხერხდება აბონენტისათვის ალტერნატიული მომსახურების შეთავაზება;
ბ.დ) შპს „მაგთიკომის“ მომსახურებებისგან დამოუკიდებლად არსებობს საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული საკომუნიკაციო მომსახურება იმავე გეოგრაფიულ ზონაში;

გ) იმ შემთხვევაში თუ კომისიამ ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი 21 თვის განმავლობაში განახორციელა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის საფასურის გადაანგარიშება ე.წ „დიდ ოთხეულში“ შემავალი აუდიტორული კომპანიის მიერ შემუშავებული ბიზნეს მოდელირებით და განახორციელა წინამდებარე გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა ლიცენზიის საფასურის გადაანგარიშების კუთხით და შპს „მაგთიკომს“ მოცემული პერიოდისთვის უფიქსირდება აქტიური აბონენტები, კომპანია ვალდებულია გააგრძელოს მომსახურების მიწოდება ლიცენზიის ვადის ამოწურვამდე ან აქტიური აბონენტების სრულ მიგრაციამდე წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის პირობების დაცვით;

3. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური განისაზღვროს - 16,296,117.27 (თექვსმეტი მილიონ ორასოთხმოცდათექვსმეტი ათას ასჩვიდმეტი ლარი და ოცდაშვიდი თეთრი) ლარით.

4. უზრუნველყოს შპს „მაგთიკომმა“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის - 16,296,117.27 (თექვსმეტი მილიონ ორასოთხმოცდათექვსმეტი ათას ასჩვიდმეტი ლარი და ოცდაშვიდი თეთრი) ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა შემდეგი რეკვიზიტებისა და გრაფიკის მიხედვით:

-მიმღები- ხაზინის ერთიანი ანგარიში-ა/ა-N200122900

-ბანკი-სახელმწიფო ხაზინა

-ბანკის კოდი-TRESGE22

-საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი-N300773402

პირველი წლის გადასახადის ოდენობა - 100 000.00 ლარი - 2019 წლის 13 ივლისამდე.

მეორე წლის გადასახადის ოდენობა - 100 000.00 ლარი – 2020 წლის 13 ივლისამდე;

მესამე წლის გადასახადის ოდენობა - 2,012 014.66 ლარი – 2021 წლის 13 ივლისამდე;

მეოთხე წლის გადასახადის ოდენობა - 2,012 014.66 ლარი – 2022 წლის 13 ივლისამდე;

მეხუთე წლის გადასახადის ოდენობა - 2,012 014.66 ლარი – 2023 წლის 13 ივლისამდე;;

მეექვსე წლის გადასახადის ოდენობა - 2,012 014.66 ლარი – 2024 წლის 13 ივლისამდე;

მეშვიდე წლის გადასახადის ოდენობა - 2,012 014.66 ლარი – 2025 წლის 13 ივლისამდე;

მერვე წლის გადასახადის ოდენობა - 2,012 014.66 ლარი – 2026 წლის 13 ივლისამდე;

მეცხრე წლის გადასახადის ოდენობა - 2,012 014.66 ლარი – 2027 წლის 13 ივლისამდე;

მეათე წლის გადასახადის ოდენობა - 2,012 014.66 ლარი – 2028 წლის 13 ივლისამდე;

5. უზრუნველყოს შპს „მაგთიკომმა“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, სალიცენზიო მოსაკრებელის (1,000.00 ლარი) საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა 2019 წლის 17 ივნისამდე შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

-მიმღები- ხაზინის ერთიანი ანგარიში-ა/ა-N200122900

-ბანკი-სახელმწიფო ხაზინა

-ბანკის კოდი-TRESGE22

-საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი-N300773402

6. შპს „მაგთიკომი“ ვალდებულია წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 და მე-5 პუნქტებში აღნიშნული თანხების საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები კომისიას წარმოუდგინოს გადახდიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

7. ლიცენზიის მფლობელის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის და სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის გრაფიკების ასევე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში მითითებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში კომისია მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს;

8. დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი):

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ფინანსთა სამინისტროში გაგზავნის უზრუნველყოფა;

გ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა.

9. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „მაგთიკომისთვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ-ვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);

10. წინამდებარე გადაწყვეტილების დანართი N1 და N2 ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;

11. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე გამოქვეყნებისთანავე;

12. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) შპს „მაგთიკომისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

13. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შესრულებაზე (გარდა გ) ქვეპუნქტისა) დაევალოს კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა);

14. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-4 და მე-5 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი);

15. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის ა) პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს (ქ. რეხვიაშვილი);

16. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების (პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების, მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის, მე-4 მე-5, მე-9 პუნქტების გარდა) შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი